



საკულტივაციო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 10 მ ა რ ტ ი 5 1900 წ. № 10

ზინაბასი: ბურები.—სსვა-და-სხვა აბჰავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—ახლვარ გარეთ.—* (ლექსი) დ. თომაშვილისა.—ინგლის-ტრანსვაალის ომი.—მცირე შენიშენა ოზურგეთელისა.—რუსეთი 1899 წ. (შემდევი).—წერილები საფრანგეთიდან (შემდევი) ლ. დ.—სა.—ოცი წლის წინეთ (მოთხრობა) გ. წერეთლისა (დასასრული).—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებები.

ბ უ რ ე ბ ი.

ამ ჟამათ უცხოეთის ცხოვრებაში ყველაზე უფრო საყურადღებო და საინტერესო ბურები გადაიქცნენ. ბურებზე ლაპარაკობენ, ბურებზე სჯიან და ასე სულ ბურები და ბურები. ამასთანავე ბურებზე ძალიან ბევრი იწერება და იბეჭდება. იშვიათია ისეთი, რომელიც ბურებს არ თანაუგრძნობდეს და აი იმ თანაგრძნობის ბეჭედი აზის როგორც სჯას ისე ნაწერსაც. ბური—ეს ციდან მოვლენილი ანგელოზია, ინგლისელი კი ჯოჯოხეთის შვილია, ამბობს ერთი. ბურთა ისტორია—ეს სათნო და კაცთმოყვარე ხალხის ისტორიაა, ინგლისელთა ისტორია კი ბარბაროსობის და მცარცველობის ისტორიაა—ამბობს მეორე. ახლა თვითონ ინგლისელს ჰკითხე, ბური, მისი აზრით, განკაცებული მტარვალბაა, კულტურის დაუძინებელი მტერია და სხვა ასეთი საშინელება. ვნებათა ასეთ ღელვაში, რასაკვირველია, მიუდგომელი სჯა-ბაასი, ნამდვილი ამბის გაგება შეუძლებელია. ხოლო ამ სინამდვილის გაგება კი თუ ოდესმე საქიროა, უეჭველია ახლა, ამ არეულ-დარეულობაშია საქირო. და აი, „კვალის“ მკითხველს მსურს წარმოუდგინო სრულიად მიუდგომელათ და თანაც რაც შეიძლება მოკლეთ,

ბურების წარსული და აწმყო ცხოვრება. ამ კითხვის გამოსარკვევათ, ჩვენ ხელმძღვანელობთ ინგლისური და ნემეცური წყაროებით, რომელთა ცნობები და ისტორიული ფაქტები სარწმუნოანი არიან. და ეს მით უფრო, რომ ბევრი ამათგანი გამოაშკარავებულია ომის წინეთ და მამასადამეღვევანდელ სიმპატია-ანტიპათიას იქადგილი არ აქვს.

ბურების ისტორია შეიძლება გაიყოს ოთხ ხანათ: ბურები საკუთარი სახელმწიფოს (ტრანსვაალი) დაარსებამდის; ბურები ინგლისის მიერ დაპყრობამდის; ბურები ინგლისის მფარველობის ქვეშ მყოფთხე, ბურები, ინგლისისაგან განთავისუფლებულნი, დღევანდლამდის. თვითეულ ამ ხანას ვუძღვნი თითო წერილს, ხოლო მესხეთე წერილში დავახასიათებთ მათ დღევანდელ ცხოვრებას და წყობილებას.

I

სამხრეთი აფრიკა პირველათ აღმოჩენილ იქმნა პორტუგალიელებისაგან მე-XV საუკუნეში. 1497 წ. კაპში მოვიდა ცნობილი მოგზაური ვასკოდეგამა თავისი ჯარით, მარა მათ ამ ქვეყანას დიდი ყურადღება არ მიაქციეს და უკან დაბრუნდნ. 1595 წ. ამ ქვეყანას ესტუმრნ ჰოლანდიელები, რომელთაც მოეწონათ აქაურობა და შეუდგნ სამშობლოდან ჰოლან-

დიელების გადმოსახლებას და აქ დასახლებას. 1620 წ. ჰოლანდიელთა ახალშენი დაიპყრეს ინგლისელებმა, მარა შემდეგ ბრძოლისა ისევ ჰოლანდიელთ დარჩათ. ამ დღიდან აქ გაიმართა მუდმივი ქიშპობა ინგლისელთ და ჰოლანდიელთა შორის, რაიცა დაბოლოვდა 1815 წ. ინგლისელთა სასარგებლოთ. ჰოლანდიის მთავრობამ ახალშენი დაუთმო ინგლისს და ახალშენელებიც შეიქნენ ინგლისის მთავრობის ქვეშევრდომნი. ესენი იყვენ მიწის მუშები, ფერმერები და ამიტომ მათ ეწოდა ბურები (ჰოლანდიურათ ნიშნავს გლეხს, მიწის მუშას). თავისთავათ ცხადია, რომ ბურები, როგორც ევროპიელნი, უნდა გაბატონებულიყვენ ადგილობრივ მკვიდრზე, შავ ხალხებზე. მაშინ ევროპიელები იმათ ადამიანებათ-არ თვლიდენ და ეპყრობოდენ ისე, როგორც უბრალო ცხოველთ და ხშირათ უარესათაც. და რადგანაც მათ გაწყვეტას, ისევ დამონაგება და თავის სასარგებლოთ მოხმარება ჯობდა, ბურებმაც დაიმონეს ისინი და ფერმის უღელში შეაბეს. ამ ნაირათ, კაპის ახალშენში აღორძინდა ბურების მეურნეობა დამონაგებულ ჰოტენდოტთა შრომით.

აი ამ დროს შემოვიდა აქ ინგლისის მთავრობა და შემოიტანა თავისი წესები. მიწათ-მფლობელობა განისაზღვრა თანახმათ ინგლისის კანონებისა, რამაც დიდათ შეაწუხა ბურები. ამას ზედ დაერთო მონების ხშირი აჯანყება და კაფრების შემოსევა. მაგრამ ამ ბრძოლაში ბურებს დახმარებას უწევდა მთავრობა და ისინიც შეუტრიადენ ახალ წყობილებას. ამ დროს ინგლისში დაიბადა დიდი მოძრაობა მონების წინაღმდეგ და 1837 წ. ბრიტანიის მთავრობამ მონობა მოსპო ყველა თავის სამფლობელოში და ამათ შორის კაპის ახალშენშიაც. მონების პატრონი დააჯილდოვეს ფულით და ასე თეთრი და შავ-კანიანი უფლებით ერთმანერთს გაუთანასწორეს. ბურები დარჩენ უმონოთ და მათი მეურნეობაც შეანგრა. ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა ისინი. 1839 წ. 5,000 ბურმა გაჰყიდა ფერმები, დატოვა კაპი და გადასახლდა ჩრდილოეთისკენ, ახლანდელ ნატალის პროვინციაში, სადაც ინგლისი არ იყო შესული და მაშასადამე იქ მონების ყოლაც შესაძლებელი იყო. გადასახლებულთ ცუდი დღეები დაადგათ, ადგილობრივი მკვიდრნი (კაფრები) იმათ არ ასვენებდენ და ბურებიც ჩაებენ მუდმივ ომში. მიუხედავათ ამისა, იმათ უარი თქვეს კაპში დაბრუნებაზე და მონდომეს ინგლისისაკენ დამოუკიდებელი ახალშენის გაშენება. ამ მიზნით დახმარება თხოვეს ჰოლანდიის მეფეს. როგორც იყო დასახლდენ ნატალში, გააწყვეს ფერმები, გაიჩინეს მონები და დაიწყეს ძველებურათ ცხოვრება. ამ დროს ინგლისმა დაიჭირა მონების მხარე და მოითხოვა მათი განთავისუფლება.

ბურები ხმლით ხელში შეეტაკენ ინგლისელებს და პირველათ კიდევაც გაიმარჯვეს, მაგრამ ინგლისელთ მიემხრენ შავ-კანიანებიც და 1843 წ. ნატალი გამოცხადდა ინგლისის სამფლობელოთ. ბურების უმრავლესობამ დატოვა ნატალის ახალშენი და გადასახლდა ორანჟეში.

ბურები დასახლდენ მდინარე ორანჟეს ნაპირას. მაგრამ ეს მხარე ითვლებოდა ინგლისის მფარველობას ქვეშ, მაშასადამე ურჩი ბურები ხელახლა ინგლისის კანონებს უნდა დამორჩილებოდენ. 1848 წ. ინგლისმა თავის სამფლობელოთ გამოაცხადა ორანჟეს და ვაალის მდინარეებს შორის მდებარე ადგილები. ბურები აჯანყდენ და ანდრე პრეტორიუსის წინამძღობით შეებრძოლენ ინგლისელთ. ბურები დამარცხდენ და მათი ერთი ნაწილი პრეტორიუსის მეთაურობით გადასახლდა ახალ ქვეყანაში. ეს ქვეყანაა მდინარე ვაალის იქითა მხარე, ანუ ტრანსვაალი.

ამ ნაირათ, ბურებმა პირველათ დატოვეს კაპი და გადავიდენ ნატალში, მერე ნატალიდან გადავიდენ ორანჟეში და ორანჟედან ტრანსვაალში. მათ თან მისდევდა ინგლისი და სადაც ბურები შევიდოდენ ბრიტანიის ბაირალიც იქ აფრიალდებოდა. და ის იყო, ასეთი ბაირალი ტრანსვაალშიაც უნდა აფრიალებულიყო, რომ ინგლისში დაიწყო ეგრეთ წოდებული Little England movement—ზატარა ინგლისის მოძრაობა, რაიცა მდგომარეობდა ომების და თავისუფალი ხალხების დამორჩილების წინააღმდეგობაში. ამ მოძრაობამ აიძულა მთავრობა 1852 წ. ტრანსვაალის ბურები ეცნო დამოუკიდებელ ხალხათ იმ პირობით, რომ მათ არ შემოეღოთ მონობა და ვაჭართ და მისიონერებს სრული თავისუფლება ჰქონოდათ. ამ პირობას ხელი მოაწერა ორივე მხარემ და ცნობილია მდინარე სანდის სექსუკრუდების სახელით (Sand River Convention). იმავე „პატარა ინგლისის“ მოძრაობის წყალობით 1854 წ. დამოუკიდებლობა მიენიჭა ორანჟეს მცხოვრებთ.*)

აქედან იწყება მეორე ხანა ბურების ცხოვრებაში.

სხვა-და-სხვა ამბები

წვეს გვატყობინებენ, რომ მომავალ შაბათს, 11 მარტს, ცნობილი მომღერალი კნენა გურამი-შვილისა კლუბის დარბაზში გამართავს კონცერტს.

*) ორანჟეს დღევანდელი მცხოვრები იგივე ბურებია, ნაშთი გადასახლებული ბურებისა. ხოლო კაპში და ნატალში დარჩენილ ბურებს დაერქვა აფრიკანდერები.

პროგრამის ყველა სასიძღვროს თვითონვე შესრულებს. ვისაც მისი ხმა ერთხელ მაინც მოუსმენია, ამ ამბავ დიდის სიამოვნებით მიეგებება.

ქალაქის ახალი ხელშეკრულება ბ. რობთან ცხენის რკინის გზის შესახებ უმაღლეს მთავრობას პეტერბურღში დაუმტკიცებია.

პეტერბურღიდან ამბავი მოვიდა, რომ კახეთის რკინის გზა უკვე დამტკიცებულია თიანეთ-საქობომდე. ფული გზის გასაყვანათ ნაშოვნია და წესდებაც წარდგენილია დასამტკიცებლათ. („ივ.“)

ქალაქში ეს ერთ-ხანია ხმა დადის, ვითომ „კავკაზის“ რედაქტორათ ნამყოფი ბ. ველიჩკო ისევ უკან ბრუნდება და აარსებს ახალ გაზეთს, ცნობილი რუსული გაზეთის „Новое Время“-ს განყოფილებას. ახლა ამ გაზეთის თფილისელი თანამშრომელი ბ. შანშივეი აცხადებს, ეს ხმები უბრალო ქორებიანო.

ერთ რუსის ქალს გამოუგონია ქართული სტენოგრაფია და „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისათვის“ უთხოვია 70 მან. დახმარება, წიგნაკის გამოსაცემათ. ამ თხოვნაზე საზოგადოების გამგეობას უარი უთქვამს, ფული არა გვაქვსო.

მაისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ გაიმართება ჩვეულებრივი სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო მიზნით. ბაზრისთვის შემოწირულება შეიძლება გაიგზავნოს კნ. ოლგა ქავჭავაძისათან, ნიკოლოზის ქ., № 21.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგ.“ საპატიო წევრმა ბ. იაკობ გოგებაშვილმა იმავე საზოგადოების გამგეობას გადასცა სრული უფლება გამოსცეს საზოგადოების სასარგებლოთ რამდენიმე მისი საკუთარი თხზულებები, ამათ შორის არის: „ძირითადი უკულმართობა“, იავენანამ რა ჰქმნა“, ასპინძის ომი“, „კუნწულა“, „ხომლი“, „Правда и Тифлис“ და სხ. ამასთანავე ავტორმა უფასოთ დაუთმო ამ თხზულებებისათვის დამზადებული საჭირო კლიშეები.

ამავე საზოგადოებას ბაქოდან გამოუგზავნეს ორი ათას ორას ორმოცი მან. 27 იანვარს გამართულ საღამოდან დარჩენილი ფული. გამგეობამ ამ ფულიდან 440 მ. გადადვა ბაქოში ლარბ ქართველთა სწავლა-განათლებისათვის, 200 მ. ქუთაისის

სამეურნეო სკოლისათვის, ასი მან. ერთი ყმაწვილის აღსაზრდელათ. დანარჩენი გადაიღვა „საზოგადოების“ სასარგებლოთ. როგორც ჩანს, „ქართულ დრამატიულ საზოგადოებას“ აღარც წელს ერგო რამე ბაქოს საღამოდან, თუმცა მის გამართვაში ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობს და ხარჯებსაც ეწევა. გასაკვირველია ბაქოელთა ასეთი „გულ-მა-ვიწყობა“...

3 მარტს პეტერბურღის აკადემიკოსს თარხნიშვილს შეუსრულდა 30 წელი, მას აქეთ, რაც სამეცნიერო და სალიტერატურო ასპარეზზე იღვწვის. ამ დღეს პეტერბურღში მის პატივსაცემლათ მოხდებოდა სადღესასწაულო იუბილეი. „კვალის“ რედაქციამ პატივცემულ იუბილიარს უკვე გაუგზავნა სადღესასწაულო დებეშა.

1 მარტის ტირაჟი. პეტერბურღი. დღეს მომხდარ სამოცდა-მერვე ტირაჟში მეორე შინაგან მომგებიან სესხისა, უმთავრესი მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს: ორასი ათასი მანეთი—18346/49; სამოცდახუთმეტი ათასი მან. 5397/41; ორმოცი ათასი მან.—13580/39; ოცდახუთი ათასი მანეთიანი.—7273/24; ათი ათასი მან.—17944/22; 8763/4, 12150/38; რვა-რვა ათასი მ.—6228/17, 16059/21, 12145/6, 15970/2, 19738/21; ხუთ-ხუთი ათასი მან.—2113/9, 19967/25, 8789/20, 14337/31, 10694/46, 19097/1, 16724/20, 15867/44; თითო ათასი მან.—18750/34, 13295/16, 10826/11, 8427/38, 142/22, 2308/50, 14346/42, 15536/32, 9622/22, 262/5, 5288/43, 10063/21, 2910/26, 11612/28, 2063/31, 10868/43, 2248/27, 14128/32, 195/45, 15655/26.

სოფ. ჯუმათიდან (გურია) გვწერენ: 26 თებერვალს, შუადღისას, ცეცხლი გაუჩნდა აქაურ მონასტერს და კინაღამ ერთიანთ გადაიბუგა. დიდი ცდის შემდეგ ცეცხლს გადაარჩინეს მონასტრის ავეჯულობა და კედლები. სასურავი კი მთლათ დაიწვა. ზარალი უდრის ოთხას მანეთს. სასურველია, რომ მონასტერი კრამიტით დაიხუროს, თორემ ყავრის სახურავი მუდამ საშიშია ცეცხლისაგან.

„კვალის“ კორესპონდენციები

ზედისთავი (გურია). ეს სოფელი გაშენებულია მდ. გუბაზოულის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე და შეიცავს ასამდე კომლს მცხოვრებს. ისინი ისე არიან ერთათ შეჯგუფულნი, რომ ზირველ შეხედვაზე ქალაქს მოგაკანებს და ეს ერთათ შეჯგუფვა გამოწვეულია მიწის სივიწროის გამო. ძვირათ შეხედებით ისეთ ფაქსს, რომ წლის საჩხო საყოფი მოუდიოდეს, თუმცა ოთხიოდ-ხუთიოდეს კი

მოდისო საყოფი და გასაყიდიც, მარა მათ ეს მიწები შექმნილი აქვთ, ნაშთები ფუფუნებით. უბრალო გლეხს სად შეუძლია იშოვოს იმდენი ფული, რომ ოჯახიც არჩინოს და მიწაც იყიდოს. მას ხომ ჩანდა არ შეუძლია, ის დამონაგებელი ჰქავს ერთხელეუ ცხოვრებას და იქიდან, თავის დასწევას მას არ ძალუძს. მას დაჩვენია ერთათ ერთი სასხარი თავის ჩხენისა, სიკვდილიდან დასხნისა; ეს სასხარი მისი ძალაა, მისი სისხლის და ოფლის ბაზარზე გატანა და იქ გაყიდვაა. ეს მას კაი ხანია შეუგნია და მიეშურება ქალაქებისაკენ, რომ იქ იშოვოს ფული და ფულიანი სახლში დაბრუნდეს, სადაც მას მოყლის ათასნაირი ხარჯები. არც ერთ გურიის სოფლებიდან იმდენი მცხოვრებელი არ მიეშურება ქალაქებისაკენ, რამდენიც ხიდისთავიდან და ამის უმთავრესი მიზეზი კი მიწის სიფიწრეა. აქური ქალები უნდა მოგახსენოთ, ძლიერ შესვენებული არიან. როდესაც კაცები ოფლის ღვრიან, ისინი მეზობლისა სიარულსა და იქ სიცილ-ხანძარში ატარებენ დროს. გასათხოვარი „ბარბაშები“, როგორც ერთი კორნესზნდენტი წერდა, ბუერია და მიზეზი მათი გამრავლებისა მათი გაიმხარტავნებაა, მათი გადადგენებაა. ისინი თუ „ნასწავლი“ არ იქნა, ისე არავის კადრულაბენ. დაღიან სამკითხველში ვითომდა საკითხავათ, მარა რის კითხვა, რის ფლავი, რის ბოზბაში! ეგულა ამავთან ერთი კარგი ზნეც ჭირთ ხიდისთავულ ქალებს: ისინი მუბრეშუმეობას ძლიერ ეტანებიან, რაც ძალიან მისაწონია და მეც ვუსურვებ მათ, რომ ეს ერთათ ერთი საუკეთესო დარგი მრეწველობისა გაეფართოვებინათ და ცოტადენი წელილი მაინც შეეტანათ თავიანთ გაჭირვებულ ოჯახში.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სამინისტრო და სამრეველო სკოლა, აი ეს ორგანოები, რომელთაც საზრდობის ხიდისთავი. რამდენათ სამინისტრო სკოლა წინ მიდის, წარმატებაში შედის, იმდენათ სამრეველო სკოლა უკან იწევა, რამდენათ ერთი განცხრომაშია, იმდენათ მეორე გაჭირვებაშია, და აი სწორეთ ამასეა გამტკრილი: დემოკრატია ერთი რათ აცხროს, თუ მეორე არ წაწმიდისო. ბიბლიოთეკამ ამ ბოლო ხანებში წინ წაიწია. მას მკითხველებიც ბუერი ჰქავს და ყურნალ-გაზეთებიც საკმაოთ მოუდის. ქართული ეგულა ყურნალ-გაზეთები და რუსული: „Миръ Божій“, „Жизнь“, „Нива“, „Съверный Курьеръ“, „Биржевая Вѣдомости“, „Черноморскій Вѣстникъ“, „Кавказъ“, и „Новое обозрѣнїе“ (თუმცა უკანასკნელი ახლა აღარ გამოდის). ბიბლიოთეკას ინახავს აქური ინტელიგენცია და მოვაჭრები, აგრეთვე შემოსავალი აქვთ წარმოდგენებიდან, რაც ხშირათ იმართება აქური სტენის მოყვარეებისაგან.

ხიდისთაველები კანებრივათ ისეთი სისწრაფით მიდიან წინ, რომ მგონია, გაქანებული მატარებელიც ვერ მიეწევა. რა მიმართულების კაცი გინდა რომაქ არ იყოს, ვინ გინდა რომ აქ საზრდოს არ მოეზოდეს? დიდი თუ

ხატარა ეგულა აქ არის თავმოყრილი, ამ ხაწაწინებულ ნახევარ დაბაში და აქვთ ერთი ვაი-უშეუკლებელი და ვიღარაბა. ისინი გაყოფილი არიან ორ ზარტათ. ერთს ცხოვრების დევიზათ სინათლის დეგნა დაუწევია, წუურია მისი გაქრება, რათა ამის შემდეგ ელირსოს ზარბაში ქვეყანასა ზედა; მეორე ზარტია კი ზირველის წინააღმდეგია და სურს ყოველივე სიბნელე დედამიწის ზურგიდან ადგეოს და მის მაგოვრათ დაამეაროს სინათლე და სიმართლე.

ცა ძლიერია მარა ჩემი აზრით ბურთს ლელოზე მეორე მიიტანს და დასძახებს: „ლელოოო!“

აი ასეთია დღეს ხიდისთავი, ის ხიდისთავი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ძლივსდა ბუურტავდა.

კალანდარიშვილი.

ს. სალხინო (სამეგრელო). იანვრის ზირველ რიცხვდან სოფელ სალხინოს სამრეველო სკოლაში გავხსენით საკვირაო სკოლა, რომელსაც საზოგადოება დიდი აღტაცებით მიეგება. ყოველ კვირაობით სკოლის დარბაზი ხალხით ივსება და გულმოდგინეთ ისმენენ წაკითხულ საგნების შინაარსს.

საზოგადოება გულმოდგინეთ ისმენს შემდეგ საგნებს: სადგოთ წერილს, დედა-ენას, მებადობას, აბრეშუმის მოვლას და ბოსტნის გაკეთებას. ჯერ-ჯერობით ეს ზემოხსენებული საგნები იკითხება სკოლაში.

ამ ორთად სასიამოვნო საქმის დასრულებაში დიდი თანამგრძობელი შექექნა ადგილობრივი სკოლის გამგე მღვ. რომანოზ გუგუა, რომელიც აგრეთვე ცდილობს, რაც კი შეიძლება—ხალხში მეტმა სწავლა-განათლებამ შამოა-შუქოს თავისი ბრწევივალე სიხვი, ამისათვის ჩემი მხრით დიდმადლობას ვუცხადებ მას, როგორც დაცემული ერის თანამგრძობელსა და შემბრადებელს.

ზემოხსენებულ სკოლაში წელს „სამოსწავლო რჩევის“ შემწეობით მოთავსებულ იქმნა უფასო სამკითხველო, საიდანაც ადგილობრივ მცხოვრებთ გააქვთ წიგნები და ჰკითხულობენ. ამ უამთ, მხოლოდ ორი ქართული გაზეთი მოგვდის ბიბლიოთეკაში, რომლის რედაქტორებიც შევიდნენ ჩვენ მდგომარეობაში და უფასოთ დაგვიომეს. ესენია: „კვალი“ და „ცნობის ფურცელი“. უმცირესის თხროვით მიემართავთ წიგნების გამომცემელთ და რედაქტორთ, ჩვენ ღარბ სკოლას, და ბიბლიოთეკას,—დაუთმონ თავიანთ გამცემანს. შემოწირულება მიიღება ამაღრესით: **Черезъ м. Хони. Въ Салхинское сельское управленіе, учителю Георгію Цивцивадзе.**

გ. წიგწავაძე

ს. კვადითა (მოარზნის მაზრა). არც ერთი სოფელი არ არის ისე დაცემული გაუნათლებლობით, როგორც კვალითი; ამ ვეებერთელა სოფელში, რომელიც არის სამი სამრეველო—და შედგება თითქმის ექვსასი კომლი კაცისაგან, არ მოიძებნება ოცი წერა-კითხვის მტოლნე კაცი.

აქ თუმცა არის ერთი სამრევლო სკოლა, მაგრამ ეს სკოლა სრულებითაც არ არის საკმაო—მთელი კვალითისათვის, რადგანაც კვალითი დიდი სოფელი არის და ათ-თორმეტ ვერსზე არის დაშორებული ამ სკოლიდან ხალხი, ამიტომ თითქმის ყოვლად შეუძლებელია რომ ამ სკოლაში ასეთმა დაშორებულმა მცხოვრებლებმა ბავშვები ატარონ და ან ერთმა სკოლამ ასეთი ვეებერთელა სოფელი დააკმაყოფილოს. ხალხის სურვილზე რომ მივაგდოთ აქ სკოლის გახსნა, მაინც და მაინც არ იტყვიან უარს, თითქმის თვითონაც გრძობენ სკოლის საჭიროებას, მაგრამ ამას მეთაურობა უნდა.

ძალიან საჭირო არის, რომ ბ-ნმა მ. კ—ძემ ამ სოფლის ასეთ დაქვეითებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს და ამ სოფელში აღძრას კითხვა სკოლის გახსნაზე, იმედია ხალხი დიდი სიამოვნებით მიეგებება ამას და შენობას ააშენებს.

სოფელი

ს ა შ ლ გ ა რ - გ ა რ ე თ .

ინგლისი. ინგლისის ხალხი თავის შინაურ საქმეებს არც ომიანობის დროს ივიწყებს და შემთხვევას არ უშვებს, რომ თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არ იმოქმედოს. კარგა ხანია ინგლისის ტრადიციონები (მუშათა საზოგადოებები) მეცადინეობენ პარლამენტში მეტი წარმომადგენლები იყალიონ და მუშათა მოძრაობას უფრო მეტი პოლიტიკური ხასიათი მისცენ. მაგრამ მათ შორისაც აღმოჩნდნენ კონსერვატორი მუშები, რომლებიც წინააღმდეგ ამ მიდრეკილებას და ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკა, საკუთარი პოლიტიკური პარტია მუშებისათვის საჭირო არ არისო. ამნაირათ, ტრადიციონთა შორის შედგა ორი პარტია: მემარცხენი და მემარჯვენენი. გასული წლის კონგრესზე მემარცხენებმა თავისი გაიტანეს და ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს: მოწვეულ იქნას განსაკუთრებითი კონგრესი პოლიტიკური პროგრამის შესამუშავებლათ. და აი, 16 თებერვალს ეს კონგრესი შეიყარა ლონდონში. კონგრესს დაესწრო 129 დელეგატი, რომელნიც 129 „საზოგადოებას“, 568 177 წევრით, წარმოადგენდნენ. არ დასწრებთან მემარჯვენეთა დელეგატები (ესენია განსაკუთრებით მთა-მადნის მუშები). პირველი რეზოლიუცია იყო შემდეგი: მუშა ხალხის ინტერესები წარმოდგენილი უნდა იყოს პარლამენტში საკუთარი დეპუტატების მიერ და ეს დეპუტატები უნდა იყვნენ წევრი მუშა-ხალხისა. პირველი ნახევარის თანახმა იყო ყველა, ხოლო მეორე ნახევარმა კი დიდი სჯაბაასი გამოიწვია. რატომ უთუოდ მუშა უნდა იყოს დეპუტატი, განა სხვა კლასის წევრებს არ შეუძლია ჩვენნი წარმომადგენლობა გასწიოს?—ამბობდნენ ორატორები. ბოლოს კონგრესმა, თითქმის ერთხმათ (სამი იყო წინააღმდეგი) უარჰყო ეს

წინადადება და მიიღო შემდეგნაირათ შესწორებული გადაწყვეტილება: კონგრესის აზრით, მუშა-ხალხის უნდა ჰყავდეს ქვედა პალატაში ისეთი წარმომადგენლები, რომელნიც მუშა-ხალხის მიდრეკილებას და მიზანს თანაუგრძობენ და მის განხორციელებას ეხმარებიან. ასეთი კანდიდატების გათვორებას უნდა მეცადინეობდნენ ტრადიციონები. მეორე კითხვა იყო: მუშათა დეპუტატები პარლამენტში ცალკე პარტიას უნდა შეადგენდნენ თუ სხვა პარტიებში გაერივნენო. ამის შესახებ მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: კონგრესის აზრით, პარლამენტში უნდა შედგეს მუშათა დეპუტატების განცალკევებული ჯგუფი, რომელიც თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებდეს. ის აგრეთვე მზათ უნდა იყოს, შეუერთდეს იმ პარტიას, რომელიც მუშათა სასარგებლოთ კანონების გამოცემას მეცადინეობს და ეწინააღმდეგოს იმას, რომელიც აბრკოლებს ასეთი კანონის გამოცემას. ამას გარდა მუშათა კანდიდატებმა ერთი მეორის წინააღმდეგ, არჩენის დროს, ყუთი არ უნდა დაიდგასო. და ბოლოს, ამ გადაწყვეტილებების სისრულეში მოსაყვანათ, არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი.

საზრანგეთი.

მას შემდეგ რაც, სოციალისტი მილიერანი საფრანგეთის სამინისტროს წევრია, მუშათა მოძრაობას მეტი თავისუფლება და გამბედაობა მიეცა. მუშათა და კაპიტალისტებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას მთავრობა ისე აღარ უყურებს, როგორც წინეთ უყურებდა. ის ახლა პირდაპირ კაპიტალისტებს აღარ ეხმარება და უფრო ან მაყურებელის ან და მოსაშუალოს როლს თამაშობს. ამ გარემოებამ ძალიან გააბრაზა ოპოზიცია და პარლამენტში არა ერთხელ გამოუცხადებია, სამინისტრო მუშების მხარეს იჭერს, დავცეთ იგიო! მარა აქამდის ამ ხერხმა ვერ გასჭრა. განსაკუთრებით კარმოს მუშების საქმეებმა ჩააგდო სამინისტრო განსაცდელში. აქ დიდი ხანია მუშებს და სამრევლო კომპანიას შორის განხეთქილებაა, რის მიზეზით 1895 წ. რიბოს სიმინისტრო დაეცა. მას შემდეგ, კომპანიის მეთაური, მარკიზი სოლანჟი, მეცადინეობდა, რამენაირათ მუშათა შორის ჩამოეგდო განხეთქილება და მით მოწინააღმდეგე ძალა შეესუსტებინა. და ამას მან კიდევაც მიაღწია. მან მუშათა ერთი ნაწილი შემოიყვანა კომპანიაში და მით ისინიც საქმის „პატრონებსავე“ გახდა. მუშათა ასეთმა დაყოფამ თავისი პოლიტიკური ნაყოფი გამოიღო 1898 წ., როცა მათი დეპუტატი ცნობილი ჟორესი გააშავეს და მის ალაგას თვით კომპანიის მეთაური სოლანჟი ამოირჩიეს. მხოლოთ წელს ხელახლა დაიწყო კომპანიის წინააღმდეგი მოძრაობა და რამდენიმე მოთხოვნები წარადგინეს. სო-

ლანჟმა უარი განაცხადა მათ დაკმაყოფილებაზე. მუშათა კომიტეტმა წინა დადება მისცა, სამინისტრო მოვიწოდოთ მედიატორეთ და რასაც ის განაჩენს ორივე მხარე დავექვემდებარეთო. სოლანჟმა ესეც უარ ჰყო და გაფიცვაც გამოაცხადა. ეს ოპოზიციამ ხელახლა დაიხვია ხელზე, ეს სამინისტრო მუშათა სამინისტროა, თვარა მუშები რათ მიმართავდნენ იმასო. ფიქრობენ აი, ახლა კი წავატეხივით ფეხს ვოლდეკრუსს და მის მილიერანსო. ვნახოთ.

გერმანია. ეს ოთხი წელიწადია, გერმანიის მთავრობას ერთი პედაგოგიური კითხვა ჰქონდა გადასაწყვეტი და როგორც იყო ახლა გადაწყვიტა. ეს კითხვაა შემდეგი: შეიძლება რომელიმე მეცნიერების პროფესორი სოციალისტი იყოს თუ არა. საქმე იმაშია, რომ ბერლინის უნივერსიტეტის პრეზიდენტ-ლოცენტმა არონსმა ამ რამდენიმე წლის წინათ სოციალ-დემოკრატთა გამოაცხადა თავის-თავი და მუშათა პარტიის ენერგიული წევრი შეიქნა. ხოლო მის საპროფესორო მოღვაწეობასთან ამას არავითარი კავშირი არ ჰქონებია. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის მთავრობამ იმას ჩამოართვა კათედრა. არონსმა იჩივლა პროფესორთა საკრებულოში, რომელმაც გამართლა არონსი და კათედრაც დაუბრუნეს. მაშინ ამ საქმეში ჩაერია სახალხო განათლების მინისტრი და თავის განაჩენი გასულ თებერვალს გამოიტანა; განაჩენის ძალით, პროფესორი არ შეიძლება სოციალ-დემოკრატი იყოს და არონსსაც საბოლოოვით ჩამოართვეს კათედრა.

ამ ჟამათ გერმანიაში ბევრს ლაპარაკობენ ერთ არჩევნის შესახებ. სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატს შმიტს ორი წლით ციხე გადაუწყვიტეს ხელმწიფის შეურაცხყოფისათვის, ამით მას ჩამოერთვა დეპუტატობა და მის საარჩევნო ოლქში სადებუტატო ადგილი დაიცალა. სოციალ-დემოკრატებმა თავის კანდიდატთა ისევ შმიტტი წამოაყენა. ხოლო ყველა დანარჩენი პარტიები, კონსერვატორიდან დაწყებული თავისუფალ მოაზრემდის, შეერთდნენ და საერთო კანდიდატი წამოაყენეს. მოსალოდნელი იყო, რომ შმიტტი, როგორც დასჯილი და ციხეში დამწყვდეული, იმის ნახევარ ხმასაც ვერ მიიღებდა, რაც წინათ მიიღო. მაგრამ წარმოიდგინეთ მოწინააღმდეგეთა განცვიფრება, როცა შმიტტის სასარგებლოთ მიცემულმა ხმამ კიდევაც გადააჭარბა წინანდელს, თუმცა გათეთრებით მაინც არ გათეთრდა (1893 წ. მიიღო 17,090 ხმა, ახლა კი 17,325). გათეთრდა დანარჩენი პარტიების კანდიდატები (მიიღო 19,312 ხმა). ეს პირველი მაგალითია, რომ ხელმწიფის შეურაცხყოფისათვის დასჯილს ამდენი ხმა მიეღოს ხალხისაგან.

— პრუსიის პოლშის ერთ ღენერალს თავის

ჯარისთვის ახირებული ბრძანება მოუცია: პრუსიის მდგომ გერმანელ ჯარის-კაცთ აეკრძალოს პოლონელი ქალების ცოლათ შერთვაო. გარდა ამისა, აეკრძალვის შერთვა იმ ქალის, რომლის ოჯახის წევრი (თუ წევრი) სოციალ-დემოკრატები არიანო. ღენერლის აზრით, პოლონელი დედა — შეილებს აპოლონელებს და ასე ნემეცის ჩამომავლობა გერმანიისთვის იკარგებაო. მეორე მხრით, ამ უკანასკნელ ხანებში პოლონელი ვაზეთები დაჟინებით ურჩევნ პოლონელ ქალებს არ გაწყვეთ ცოლათ ნემეცებს, თუნდაც სამულადმოთ გაუთხოვარი დარჩეთო. ნემეცი გადავა თავის სამშობლოში, ცოლსაც თან წაიყვანს და შეილები ნემეცდებიან და ასე ქალი თავის ქვეყანას ეკარგებაო...



* *

ენის კაბადანს შეჟუგებო
 შუქისან-მეფეჯარეს,
 მასზე ტიმტიმა ვარსკვლავებ
 და მკაშკაშე მთავარეს;
 ძირს თიანდასო დაფენილს
 ტურთათ მონამულ მდელოს;

ნექტარით სავსე თიანდას ვცდი
 ბუნების სადღეგრძელოს.
 კაკობ ვარდას ვჭვრეტ გაფურჩქნის,
 მის გვერდით მორცხვედ იასა
 და იმავე დრას უურს ვუტეგებ
 ბუღბუღის „ტია-ტიასა“.
 და, მხნობლული შეგებით,
 ეველას თაყვანს ვცემ სწორათა,
 სიცოცხლის ძალა და წმინა
 მემატვის ერთი-ორათა!..
 გრძობას ტეცხლს ვუნთებ, ვახებს
 ნახერწყალს ვაფურეგინებ,
 სულს ავართთფებ, თვალს შეგების
 ნაკადულს დავადგურეგინებ!
 ტეცხლს მოვიკიდებ ვარშემო,
 რომ ღამზარივით ავეთთ
 და, ვით ხატის წინ სწათელი,
 ჩემი ანუბა ვადგენთა!..
 დიად, მსურს, ქვეყნათ არ ვაქტე
 ერთ უმნიშვნელ ფერფლათა, —
 მსურს ქვეყნის საკურთხეველზე
 დავიწვა მცირე მსხვერპლათა.
 დავიწვა! მარა ისე-კი,
 რომ გული კიდევ გულობდეს
 და გვალს ჩემგან ნაშთნი
 ამ ქვეყნათ მცირეჭელობდეს!..
 დ. თომაშვილი.

ინგლის-ტრანსვაალის ომი

მის უკანასკნელი ცნობები ერთხმად ღაღადებენ ინგლისის სასარგებლოდ. რობერტსის ჯარებს ვეღარ უმაგრდებიან ბურები და უკან-უკან იხევენ. ბრძოლა წარმოებს უმთავრესათ ორანჟის რესპუბლიკის საზღვრებში. ინგლისელები მიიმართებიან დედა-ქალაქ ბლუმფონტენისაკენ. 28 თებერვალს ღენერალ ფრენჩმა დაიჭირა ორი სერი, რომელიც ბლუმფონტენს დაჰყურებს. 29 თებერვალს რობერტსმა უბრძანა ფრენჩს, დღეს საღამომდის დაიპყრო ბლუმფონტენის რკინის გზის სადგურიო. იმავე საღამოს გააგებინა ფრენჩმა რობერტს, რომ ორი სერი დავიპყრო სადგურის მახლობლათ ო რესპუბლიკის პრეზიდენტის შტეინის ძმა ტყვეთ წამოვიყვანეო. ეს მოძრაობა პირველ მარტს დაგვირგვინდა ბლუმფონტენის აღებით. ფრენჩ შევიდა ორანჟის სატახტო ქალაქში. ამის შესახებ რობერტსი დეპეშით იუწყება შემდეგ: „ჩემს უფროსობის ქვეშ მყოფმა ჯარებმა დაიპყრო ბლუმფონტენი და ახლა ბრიტანიის ბაირალი ფრიალებს პრეზიდენტათ ნამყოფ შტეინის სასახლეზე, რომელიც დაცალეს. მთავრობის წევრათ ნამყოფი ფრენჩისი, ქალაქის თავი, მთავრობის მდივანი და სხვა მოხელენი ქალაქიდან ორი მილის სიშორეზე მომეგებენ და სახელმწიფო შენობათა გასაღებები ჩამაბარეს. მტერმა უკან დაიწია. ქალაქის ახლო-მახლო მშვიდობიანობაა“.

ამ ნაირათ, ორანჟის რესპუბლიკა დაპყრობილათ უნდა ჩაითვალოს, პრეზიდენტი შტეინი თავისი ამალით ტრანსვაალშია გაქცეული. ახლა კი მოწადინებულია ორივე რესპუბლიკის მთავრობა ზავი ჩამოაგდოს. ამ მიზნით ტრანსვაალის პრეზიდენტმა კრიუგერმა უკვე მიმართა სხვა-და-სხვა სახელმწიფოებს, მოგვარიგეთო, მარა ჯერ-ჯერობით ვერცერთი სახელმწიფო ვერ ბედავს ასეთი ბიჯის გადადგმას. კრიუგერმა დეპეშით მიმართა ინგლისის მთავრობასაც, შეგვატყობინეთ რა პირობით შეიძლება ომის მოსპობაო. ამაზე პასუხათ მიიღო: ერთათ ერთი პირობაა სრული დამორჩილებაო. ამ პასუხს ძალიან თანაუგრძობდნენ ინგლისის გაზეთები. ინგლისის საზოგადო აზრი ზავის ჩამოგდებას ძალიან ეწინააღმდეგება, სანამ ტრანსვაალიც არ იქნება დაპყრობილი. მეორე მხრით, ინგლისში უკვე დაიწყო მოძრაობა ომის შესაჩერებლათ. ამ მიზნით პირველი მატინგი გაიმართა თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, კრონიეს დატყვევების და ლედისმიტის გამოხსნის შემდეგ. ორატორები ამბობდნენ, მტერი ჩვენ სამფლობელოში აღარ არის და ეს პირველი მიზეზია ომის შესაჩერებლათო. ასეთი მიტინგები უეჭველია დღეიდან, ორანჟის

დაპყრობიდან, უფრო გამრავლდება და მთავრობის პოლიტიკაზედაც გავლენას იქონიებს.

ასეთია დღეს ინგლის-ტრანსვაალის ომის მდგომარეობა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თუ ზავი არ მოხდა, ინგლისის ჯარი ერთ კვირაში ტრანსვაალშიაც შევა და ადვილათ შეიძლება ეს ქვეყანაც დაიმორჩილოს.

მცირე შენიშვნა

უმსახვარიშა წელს გურიის ამხანაგობას „შუამავალს“ უნახავს წმინდა მოკება 7500 მანათზე ცოტა მეტი. ამან, რასაკვირველია, დიდი სიხარული გამოიწვია წარმომადგენელთა კრებისა. ისე გაიტაცა სიხარულმა, რომ აღარ იცოდენ რა ექნათ. მაგრამ შეეშინდათ არავინ ჩავკერიოს მისაკებაში და სხვარების დამტკიცებადის (შირეული მუხლი სხვარების დამტკიცება იყო) აღძრეს კითხვა, რომ მეტი წევრი აღარ არის სსჭირო, და ან თუ ვისმე მივიღებთ, ზის ფული 40 მანეთი შემოიტანოს 20 მ. მაგიერო. შეიქნა ამაზე ერთი უვირილი და დავიჯარაბა; როგორც იქნა 30 მანათზე ჩამოვიდენ. დაადგინეს 30 მ. სწავრო ფულათ. ამას შემდეგ არ ვიცი თუ ვინმე ჩაეწერება წევრათ და ისეუ 20 მ. რომ დარჩენილიყო — მაშინ-გი იმედი იყო 200 წევრი ჩაეწერებოდა ამ რ სამ თვეში. ძალიან ბევრია იმისთანები, რომლებიც დამტკიცებულ წესდების მისვლას უცდიდენ და მაშინ უნდოდათ ჩაწერილიყვნენ.

იმას თავი დავანებოთ, რომ ბევრ წევრებს უნდოდათ ჩაწერილიყვნენ, თუმცა ესეც სათქმელია, რადგან ამხანაგობა ბანკში ფულს სესხულობს 17% და იმასაც დიდი ვაი ვაგლანთ: ჯერ ვექსილები უნდა გამოართვას სხვა და სხვა ზირს, მერე რამდენიმე კაცი უნდა წაიყვანოს ბანკში ხელის მისწერათ და სხვა. შარშან ზშირათ რვა-რვა კაცი დაეჭვავა ამ მმართველს ბათომში ამისთვის. ერთი სიტყვით ბევრი ხარჯი გადის ფულის სესხებაზე, ნახევარი მოკება მის უნდება და მეტიც. ეს რომ ასე არ იყოს შარშან 151000 მანათი უწარმოებოთ და მოკება მეტი არ დარჩებოდა? ამისთანავე ვეკლავ წევრები ნისიათ ტოვებენ ზარკს, სანამ ამხანაგობა გაჭყიდეს. ამას ზოლიციაც დაეხმარა მით, რომ გადასახადის გადასდა აღროვა ვეკლას ვინც ამხანაგობიდან კვიტანცია მოიტანა.

რამდენიც მეტი წევრი ეყოლება ამხანაგობას, იმდენი მეტი ფული ექნება და საქმეც უფრო კარგათ წავა. უამისოთაც ზის გაძვირება მაინც უსამართლობაა, რადგან ამდენათ ის არ დირს. გამოვიანგარიშოთ ზის დირებულება: სხვარებიდან ჩანს რომ ამხანაგობას ფულიან, მიწიან და ასაღებ ვაღიანათ აქვს 23289 მ. 35 კ. ეს გაჭკვეს ზირდანიზრ ზის ფულზე, რომელიც უდრის 11510 მ. 37 კ. და აქედან

ზაის ღირებულება გამოვიდა 40 მანათზე მეტი. მაგრამ მხედველობაში არ მიუღიათ, რომ მიწები, რომლებიც 3300 მ. აქვთ დაფასებული, მათ საკუთრებას არ შეადგენს, არამედ თუ ამხანაგობა გაუქმდა, რაიცა იშვიათი მოვლენა არ არის, მაშინ მიწა ხატრანებს რჩება, იმ ზიანით არის მიტეული. ეს მიწები შემოწირულია და არა ნაყიდი. ასე რომ ის უნდა გამოვავლოთ 23289 მანეთს; აგრეთვე უნდა გამოვავლოთ უიმედო ნისია, 2986 მ., რომლის აღება დიდათ სეკუა; უნდა გამოვავლოთ აგრეთვე 12% (1381 მ.), რომელიც დაურიგდა წევრებს; გარდა ამებისა უნდა გამოვავლდეს: 755 მ., რომელიც გამოვალს ერკება ჯამაგირს გარდა (წესდების ძალით 10%); 20% მოკეობისა, რომელიც საქველ-მოქმედათ უნდა დაინახვოს (1510 მ.); ის 300 მ., რომელიც შემოიტანა გასულ წელს ერთმა წევრმა, ანდროლოდ და ახლა უარი უთხრეს, წევრათ არ მიგიღებთ, თუმცა არაფერი უფლებას არ ქმნდათ არ მიეღოთ, რადგან ამ კაცს ერთი ხმის მეტი არ ექნებოდა, თუმცა 15 ზაი იყო და ამასთანავე, როგორც მმართველმა განაცხადა, ეს ფული კაი დროს იყო შემოტანილი, როცა მმართველი აქვთ იქით დაბრუნდა ფულისთვის. ესენი რომ ეველა გამოვავლოთ, მაშინ დაჩნება 14000 მ., გავეთ 11510 მანეთზე და დავინახვოთ, რომ თითო ზაი 20 მანათს ბევრით არ აღემატება. მაგრამ კრებაში არც ერთი ეს გამოანგარიშება არ მოახდინა. ასე ზაის ღირებულებას რამდენხელა გინდა იმდენზე ასწევ. ამ ნაირათ, მიიღეს უსამართლო საშუალება იმიტომ რომ ახალი წევრები არ მივიღოთ. მარა ახალი წევრების მიღებას ვინდა ჩვირს, ძველებისთვისაც რომ არ ესრიათ! ვისაც ზაის ფული სრულათ არ აქვს შემოტანილი ისინიც გამოფრინდნოთ. ზოგს ხუთი მანათი აკლია და ზოგსაც 10 მ. ბევრი იყავანეს და მერე იმდენი სულ-გრძელობა გამოიჩინეს, რომ იფლისამდე ადროვეს კიდევ. ამ წევრებს ხმა არ აქვთ, დივიდენდს არ აძლევენ და ეს ფული აქამდის იხმარეს, როგორც უნდოდათ და ახლა მთლათ ართმევენ; ამაზე უფრო ძალ-მომრეობა და სხვისი ქონების დახატრანება კიდევ შეიძლება? ერთი სიტყვით, წლეუანდელმა კრებაში საშინელი ანგარება და მიუკარებლობა გამოიჩინა. უნახავმა რა ნახა—სწორეთ ეს არის.

ოზურგეთელი

რუსეთი 1899 წ.
(შემდგომი *)

იმ საშუალებათა შორის, რომელიც მიიღო მთავრობამ წარსულ წელს სამიწათმოქმედო მრეწველობაში, უურადების დირსნი არიან: დაარსება სამიწათმოქმედო სამინისტროს ადგილობრივ ორგანოთა. ესენი შედგებიან რწმუნებულ-

*) იხ. „კვალი“ № 6.

მხედველთაგან, რომელთაც კავშირი აქვთ ერობებთან, (კერძოდ დაწესებულებებთან და საქმის ხატრანებთან (მრეწველებთან). ესენია სამინისტროს „ხელნი და თვალნი“, რომელთა მეხმეობით უნდა გატარდეს ცხოვრებაში ეველას ის, რასაც ისინი საჭიროთ და სასარგებლოთ მიიჩნევენ.

გამოცხადდა კანონი დროებითი მამულების შესახებ, რომლის მიზანია შეარჩინოს თავად-აზნაურობას სამემკვიდრო მამულები ათას გვარი შეღავათებით, როგორც, მაგ., კრედიტით, ბაჟებით და სხვ.

გამოიცა კანონი თავად-აზნაურთა მასწავლე შეილებების თავ-შესაფარის შესახებ. გაშენდეს, რამდენსაც კი მოისურვებს თავად-აზნაურობა, თავშესაფარი სახელმწიფოს დახმარებით. მათი შესანახი ხარჯის ნახევარი დაკისრის თავად-აზნაურობას. საკადეტო კორპუსში დაარსდეს 415 უფასო ვაგანსია თავად-აზნაურთა შეილებებისათვის, რისთვისაც გადაიდო ეფექტულიურათ 187 ათასი მანეთი.

ცირკულიარით ეცნობა ეველგან, რომ ერობის უფროსის ანჩევამდე გუბერნატორმა მოლაპარაკება (რჩევა) იქნინოს თავად-აზნაურთა წინამძღოლთან და, რომ ერობის უფროსთა საკანდიდატო სიაში მოხსენებულ იქმნას ადგილობრივ თავად-აზნაურთა ეველა შეილები, რომელნიც-კი ცხოვრებენ საღმე ადმინისტრაციულ ცენტრებში.

აგრეთვე შემსუბუქდა ვადის გადახდა იმით, რომ ვადის გაგრძელებას ნება დართეს.

გამოცხადდა ბძნება, თუ რა წესით გადახდევინოს სანადგეო მიწაზე დადებული გადასახადები სოფლის საზოგადოებებს. ამაში ახალია ის, რომ გადასახადების შეკრება დაკისრდა ერობის უფროსთა და ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორებს, ზოლიციას რჩება მხოლოდ ქონების გაყიდვის უფლება, (რა ქონებისა—ეს დაწვრილებითაა განსაზღვრული). ამნაირათ ისზობა დღემდე გაშეფუბული თვით-ნებობა, რომელიც ანადგურებდა ნელომკების ხატრანთ. ძლიან შემტირდა თვით საზოგადოების მიერ გადასახადთა გაწერის უფლება და ამაზე თვალუერის ჭერა მიენდო ინსპექციას. საურთიერთო ზსუხის-მკებლობის უფლება რჩება მხოლოდ იმ საზოგადოებებს, სადაც საერთო მიწათ-მოვლობა არსებობს (община) და ისინც კიდევ განსაზღვრულ საზღვრებში. ეველა დანარჩენ სოფლებში თითოეული მეფასე თითონვეა ზსუხის მკებელი... ამ საშუალებით მთავრობას სისრულეში მოჰყავს ის ზრგრამმა, რომელიც მოყვანილია ფინანსთა მინისტრის 1898 წლის ანგარიშში, სადაც აღსარებულია, რომ გლეხთა საზოგადოებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა მტკიცე უფლებრივი წესრიგო.

გადადებულ იქმნა: საეკკლესიო სკოლებისათვის 500 ათასი მან. და 1,895000 მან. უწმინდესი სინოდის ანგარკულებში.

ციმბირში გადასახდა 1899 წ. 200,000 სული. რომელ-

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

№ 101.1900 წ.

3 3 2 3 0

157



მადონისელების ცხოვრებიდან.

თავს 38,000 სული უკანვე დაბრუნდა. ციმბირის რეინის გზის კომიტეტის ანგარიშით 1882 წლიდან სულ გადასახლებადაც ციმბირში 1 მილ. 118 ათასი სული.

ურდადლების დირსია აგრეთვე ისიცა, რომ სამეურნეო მინისტრს უფლება მიეცა დაამტკიცოს წესდებები: ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა, სახესილი და შემნახველ კასრებისა და სხვა მეურნეობის გამაუმჯობესებელ ორგანიზაციებისა. უკანასკნელათ, საურდადლებთა სახელმწიფო რეჟიმი შეტანილი კანონ-პროექტი სამეურნეო საქმეში მუშათა დაქირავების შესახებ.

ეგვლა აქ ჩამოთვლილ ზომებს შორისა ვაჰიანი აქვს იმ საერთო კრიზისთან, რომელიც ფულის დამუშავებულ მრეწველობაში მოგროვებამ დაბადა. სახელმწიფო ცდილობს ერთი მხრით გაავითაროს ეს მრეწველობა და, მეორე მხრით, შეამსუბუქოს ხალხის ტვივილები და მით ეს გადასავალი ხანა ასატანათ განადრს...

ახლა გავმინჯოთ რუსეთის ერობათა გასული წლის მოღვაწეობა.

გასულ წელს სამარის, ხერსონის, ვლადიმირის, ხარკოვის, ზელტავის და სხვა ერობათა დაწესებულებებმა დაადგინეს შემოღობნ თავის მახრებში საყოველთაო სწავლება. კურსკის კრებამ უარხეო გუბერნატორის წინადადება, რომ 38 ათასი მანეთი გადაეღვა სამრეწველო-საკვლესიო სკოლებისათვის და მოკვლად ის საერთო სკოლათათვის. ხერსონის, მარიუპოლის და ბუგრმა სხვა ერობებმა იშუამდგომელს მთავრობასთან გვქნათ „გაროზკვის“ მისობაზე. სამარის ერობა შუამდგომლობდა მთავრობასთან იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობა მიენიჭებია ეფექტუარ ერობისა თუ სახელმწიფო საშუალებით დაარსებულ სასურსათო (სამეურნეო) დაწესებულებათათვის და ჩამოეშორებინა მათთვის გარეშე ელემენტები.

ზელავტის ერობამ მიიღო 100 ათასი მანეთი სესხათ სასოფლო საკრედიტო დაწესებულებათა საჭიროებისათვის. ვლადიმირის ერობა შუამდგომლობდა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა სახელმწიფო სავადლებულ დაზღვევის შემოღებაზე. ზეტურბურდის ერობამ პროექტი წარადგინა: დაარსონ სიდატაკსთან საბრძოლველათ სამუშაოს მომზადებელი კანტარა (ბიურა), მათსფრებისთვის თავშესაფარი ბინა, კალანიები (ახალშენები) სოფლათ და სამუშაო სახლები და შუამდგომლობდა საექიმო დახმარებაზე ლადოვის არხის მუშათათვის ზატრობების ხარჯით. სამარის ერობის საგუბერნიო საწყობიდან გაიტანეს სამეურნეო მანქანები 1894 წ. 2330 მანეთისა, 1895 წ. — 53 ათასი მანეთის, 1896 წ. — 68 ათასი მან., 1897 წ. — 112 ათასი მან., 1898 წ. — 118,500 მანეთისა. ევატრონიოსლავის და ხერსონის ერობამ გადაწყვიტა დაარსონ 15 ალაგას საექიმო-სასურსათო დაწესებულებანი მისულ მუშათათვის. უკანასკნელ, 33 საგუბერნიო ერობათა რიცხვიდან 29-მ შუამდგომლობა ადრია ნება-მიეცათ გამოეცათ „საერთო-ერობათა უწყება“, ერობათა დამოუკიდებელ ორგანო...

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები უპირატესობებენ ერობათა დრმა და ფართო მოღვაწეობას.

მაგრამ მეორე მხრით ჩვენ ვხედავთ ერობათა რეაქციონურ ზომებსაც.

მაგალითათ ბორისოვლების ერობამ უარხეო ქალაქის სამმართველოს წინადადება, სესხით შემწეობა აღმოუჩინონ მცხოვრებლებს მიწებისა და ცხენების საიდლათ, რადგან — როგორც ამობდა ერთი ხმოსანი — მიწის მომუშავე გვქნათ დახმარება ნიშნავს თავად-ახნაურთა დაქტეფას:; ჩვენ მათ ამით მუშა ხელს ვუსწობთ. ლივინის ერობა შუამდგომლობდა შეეხერებინა მთავრობას საშუალო შექლებების გვქნათ გადასახლება (რომელთაც იჯარით აქვთ აღებული შემამულებთა მიწების მეტი ნაწილი) ორფოვის გუბერნიიდან ციმბირში, რადგან მათი გადასახლებით ადგილობრივ რჩებიან მხოლოდ ბოჯანოები და ჩანჩიო; ხერსონიგოვის თავად-ახნაურთა წინამძღოლი და ადგილობრივი სათავად-ახნაურთა კომიტეტი მოსახრებას ურდგენენ მინისტრს, რომ დამშუულ ხალხის ქველმოქმედებითა დახმარებამ გააძვირა მუშა ხელი და გააზარმადა ხალხით; სამარის, კურსკის და ხარკოვის ერობანი გვქნათ ისეთ გონივრულ გადასახლებას და დასახლებას ურჩევენ მთავრობას, რომ მათ მაგიერ მუდამ ახალი მუშა ხელი მოუვიდეთ; კურსკის ერობა ურჩევს მთავრობას განურჩევლათ და გამოუძიებლათ, შირდაზირ აღმინისტრატული წესით მიაჯაჭვოს მქირავებელს თავისი ნებით გაქტეული მუშა და მაგალითისათვის უთითებს ოსტბეის მხარეზე, სადაც ასეთ უწყეს-რიგო მუშებს შავი წიგნავი უროგვბათ და მით სამუშაოს ველარათ მოულობენ. (იხ. საინტერესო წიგნი: „Нужды сельскаго хозяйства и мѣры ея удовлетворенія по отзывамъ земскихъ собраний.“ გამოცემა სამეურნეო სამინისტროსი) და სხ. და სხ. საინტერესოა აგრეთვე სასოფლო სამეურნეო კრების განახენი, რომლის ძალით შუამდგომლობა ადირა მთავრობასთან გვქნებში სამეურნეო სასწავლებლის გავრცელების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს სკოლები უმზადებენ თავად-ახნაურობას მეურნე-მოსამსახურე-ნაქრებს და მით გვქნობას ცილდება უფრო ნიჭიერი და კულტურული ელემენტები. ამავე დროს ვოლსკის ერობამ გადაწყვიტა, რადგან მათი სამეურნეო სკოლის შეგირდები უმთავრესათ ზენზენისა და სამარის მეურნეთა ნაქრებათ ხდებიან, (და არა ვოლსკის) თხოვონ მთავრობას ან დახმარება აღმოუჩინონ ამ სკოლას ან თვითონ მან იკონროს მისი შესახანი ხარჯი... ერობათა მიერ გამოწვებულ ეგვლას სხვა საქმესაც ასეთივე ეგონსტური ბეჭედი ახის. რატომ? იმიტომ რომ ეს სასარგებლოა მისხვილ მეურნეთათვის, რომელნიც შეადგენენ ერობის ხმოსანთა უმრავლესობას.

გასულ წელს ერობებს ნებამიეცათ ადრინ სახელმწიფო სესხი 3⁴/₅ პროცენტით გზების გასაკეთებლათ. სესხის რაოდენობა მთელი სახელმწიფოს ერობათათვის შეიცავს

5 მილ. მანეთს წლიურად. სესხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 70%-ს ერობათა საკუთარ თანხიდან გზებისათვის გადადებულ რაოდენობას. 9 მილ. მანეთი გადადებულად საფლავის მსინათრულ (სუფით-ავათმეფეთა) სასაბურთაოებისათვის, რომლის ნახევარი ხარჯი უნდა დაეკისრას იმ მაზრათა ერობებს, სადაც ასეთი სასაბურთაოები გაისხნა. გამცხადდა კანონი, თუ რაგორ განაწილდეს მიწის დასახინასა და ერობას შორის. აქამდე მიწის დასახინას ერობას მარტო ნასუფრადი რჩებოდა, რადგან საზინა ერობაზე წინ ჰქრებდა დასახინა. ახლა კი გადასახადი ერთ დროს იკრებება, რომლიდანაც ერობას ერგება 20% სახადელო მიწებიდან, და 90% დასახინა (კერძო შესაკუთრების) მიწებიდან. კერძო შესაკუთრებებს ნება აქვს დასახინა გინდ საზინის და გინდ ერობის სასარგებლოთ გადადვან.

თავრების უკანასკნელი განკარგულება ერობათა შესახებ იყო შემდეგი: უარი გამოეცხადოს 29 საკუთრიო ერობებს „საკრთო საერობო უწყების“ გამცემის შესახებ; ხოლო კურსკის და ხარკოვის გუბერნატორმა პრეტესტი განუცხადეს — ბრველმა კურსკის ერობას სახალხო სკოლებისათვის 36 ათასი მან. გადადების გამო, ხოლო მერქმ ხარკოვის ერობას 200 ათასი მანეთის გადადების გამო ამავე საგნისათვის.

ამ ხაზით ერობა, მწოდებული წვრილი გლეხობის დასაცველათ, თანდათან დაშორებია ამ მიზანს და დაშორებია იმიტომ რომ ამ გლეხობის ინტერესი სრულებით ეწინააღმდეგება მისვილ შემსუფთვთა ინტერესებს. ამას კარგათ ხედავდნ თვითონ ერობებიც. აი მაგ. კირსინის ერობამ რა დადგინა: „რადგან თანამედროვე ერობათა კრებები სრულებით არ ეთანხმებიან არსებულ მოთხოვნილებას და ვერ შეიცავენ ეკვლა მკვიდრთა წარმომადგენელთ, ამიტომ მათ კარგათ არ იციან ადგილობრივი საქმეები და არც შეუძლიათ შესაფერი ინტერესით მოეკიდონ საქმეს...“

ახლა გადავიდეთ ქალაქთა თვითმართველობაზე...
(დასასრული იქნება)

წერილები საფრანგეთიდან

დღევანდელი პარტიები და მიმდინარე პოლიტიკა.

II*)

რესპუბლიკანური პარტია საკმაოდ დიდი მანძილით არის მოშორებული თავის წარსულზე. დღევანდელი რესპუბლიკანელი შესამჩნევათ განსხვავდებიან თავის წინაპრებისაგან. ამ პარტიას ბევრ სასახლო საქმეებთან ძალიან ბევრი არა სასახლო საქმეებიც ახლავს თან. მარა ამისთვის ვერც და-

ეძრახავთ და ვერც არას ვუსაყვედურებთ. არის ულმობელი ძალა, რომლის წინაშე ყოველმხრივ საზინის-მგებლობა ედება როგორც კერძო პიროვნებას, ისე მთელ პარტიას. პიროვნებათა თუ პარტიების სურვილები და განზრახვები ყოველთვის ემორჩილებიან ამ ძალას, ეს ძალაა ისტორიის მკაცრი კანონები, ისტორიის გარდაუვალი მოთხოვნილებანი. პოლიტიკური პარტიების მდგომარეობა და მოქმედება ყოველთვის შეესაბამება და თან მისდევს საზოგადოებრივი კლასების თუ ჯგუფების ურთიერთშორის განწყობილებას. უკანასკნელი კი იცვლება ცხოვრების განვითარებასთან ერთათ. ბურჟუაზია — რესპუბლიკანური პარტიის მომავლინებელი — ის აღარ არის დღეს, რაც იყო წარსულ საუკუნის დამღვეს და ამ საუკუნის დასაწყისში. მას დიდი ხანია გაუფრინდა ის დრო, როცა ყოველ ნაბიჯზე, ყველა სიტყვაზე უსათუოთ უნდა ეხსენებინა: „თანასწორობა, ძმობა, თავისუფლება“. ბურჟუაზიას მალე უღალატა იმ იარაღმა, რომლითაც იგი მარჯვეთ იკავებდა გზას გამარჯვებისაკენ; ეს იარაღი ერთ შვენიერ დღეს გაორობრდა, მისი ხმარება საფრთხილო შეიქნა. თუ წინეთ მშრომელი ხალხი ბრმათ მისდევდა ბურჟუაზიას და თავ-განწირული ეძლეოდა ატეხილ ბრძოლას, შემდეგ იგი გამოეცვია, თვით ბრძოლაშივე გამოფხიზლდა და დაინახა ის, რაც წინეთ ფიქრათაც არ მოსდიოდა. დაინახა, რომ ის, რასაც ბურჟუაზია ამყარებდა, სრულებითაც არ იყო აღთქმული ქვეყანა. აქ მას ეჭვი დაებდა ბურჟუაზიის მოყვრობა საფარსაგო არ უნდა იყოსო. ეჭვი, უნდობლობა ჩქარა მტრობათ გადაექცა და აი გაისმა მისი სასტიკი ხმა: „ადგილი შრომას! გზა მუშა ხალხს!“ ბურჟუაზიას გულის სიღრმემდის ჩაწვდა ეს ხმა და იქ დატოვა წაუშლილი კვალი. ბურჟუაზიამ გაიგო რას მოასწავებდა ეს ხმა: მიხვდა, რომ საქირო იყო საკუთარი ხანაკის გამაგრება, რადგან ახლო მომავალში აუცილებელი იქნებოდა პირდაპირი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ძველ მოკავშირესთან. წინანდელი ტაქტიკა აღარ ივარგებდა, საქირო იყო ახალი გზა, ახალი პოლიტიკა. ბურჟუაზიამ თავის მიხვედრილობა კარგათ დაამტკიცა 1848 წ. ამის მოწმეა რესპუბლიკანური პარტიის წარმომადგენელ გენერალ კავენიაკის ვაჟკაცური მოქმედებანი ივნისში. ყველამ იცის აგრეთვე, რას წარმოადგენდა 71 წელი პარიჟში.

რაც დრო მიდიოდა იმდენი უფრო მტკიცდებოდა ახალი პოლიტიკა. დღეს რესპუბლიკანური პარტია ერთობ გულმოდგინეთ უსმენს რეაქციონურ პარტიებს; ჰხედავს რომ უკანასკნელნი სრულებითაც არ არიან მისი მოსისხლე მტრები და

*) იხ. „კვალი“ № 7.

ზოგჯერ ძალიან ჭკვიანურათაც ლაპარაკობენ. და მართლაც რას ლაპარაკობენ, ვისთვის და რისთვის იდგწიან რეაქციონერები? რასაკვირველია მათ ეშმაკი არ შეგდომიათ მხარზე. თუ იტყვიებენ თავს და აკეთებენ რასმე, აკეთებენ ბურჟუაზიისთვის, სახელდობრ მსხვილი ბურჟუაზიისთვის. ამავე კლასის ინტერესებს იცავს, განსაკუთრებით, რესპუბლიკანური პარტიაც, ხალხო ერთ და იმავე საქმის დამცველთა შორის თუ შესაძლებელია ბრძოლა, ბრძოლა არის ყოველთვის ხანმოკლე და წარმავალი. აი რა თქვა სასამართლოში შეთქმულობის პროცესის დროს ერთმა ბრალდებულმა — ახალგაზდა მონარქისტმა (გოდფრუა): მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, რომელნიც ფიქრობენ, რომ შეიძლება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ უთხრა: „თქვენთან არასოდეს!“ არის ისეთი გარემოებანი, როცა ერთი და იმავე სამშობლოს შვილები უსათუოთ უნდა შეერთდნენ. მაგრამ, არის ერთი პარტია, რომელსაც მე ყოველთვის მკვანთ ვეუბნები: — თქვენთან არასოდეს! ეს პარტია სოციალისტური პარტიაა.“ ახალგაზდა მონარქისტის სიტყვები საგულისხმოა და მრავალმნიშვნელოვანი.

რესპუბლიკანური და რეაქციონური პარტიების დაახლოვება ჩქარი ნაბიჯით წავიდა მე-90-თე წლებიდან. დამჩქარებელ გარემოებათაგანი იყო 93 წლის პარლამენტის არჩევნები, რომელზედაც მუშა ხალხმა აირჩია 55 წარმომადგენელი. ამათში ერთი რამდენიმე ეგრეთწოდებული რადიკალ — სოციალისტი. მარა ამათაც დროებით მიღებული ჰქონდათ სოციალისტური პარლამენტარული ტაქტიკა. აქვე ვიტყვი რამდენიმე სიტყვას რადიკალ-სოციალისტების და იმ პარტიის ვინაობაზე, საიდანაც ისინი გამოერჩნენ.

რადიკალ-სოციალისტები შეადგენენ სულ პატარა ჯგუფს. 1893 წლამდის ეკუთვნოდნენ რადიკალურ პარტიას. რამდენათაც გამორკვეულია მათი ფიზიონომია (სახე) იგინი არიან წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენელი, პრაქტიკულათ უმთავრესათ იცავენ ამ ინტერესებს. მომხრე არიან ყველა დემოკრატიულ რეფორმების: ეკლესიისა და სახელმწიფოს განშორება, საერო სწავლა, მუდმივი ჯარების ნაცვლათ ხალხური ჯარის (მილიციის) შემოღება, შემოსავალზე გაწერილი პროგრესიული გადასახადი და სხ. თეორეტიულათ თავის ქადაგებას ანელებენ სანტიმენტალურ, გრძობაზე აშენებულ, „სოციალიზმით“.*) თვით რადიკალური

პარტია (ანუ რადიკალ-რესპუბლიკანელი) დღეს საცოდავი ნაშთი და სუსტი აჩრდილია იმ დიდი რადიკალური პარტიის, რომელსაც მე-60 და მე-70 წლებში მეთაურობდა სახელოვანი გამბეტა. მე-80 წლებიდან და განსაკუთრებით კი ბულანჟისტურ მოძრაობას შემდეგ,**) რადიკალები სწრაფათ იღესებთან დანარჩენ რესპუბლიკანელებში, რომელნიც, რადიკალებთან რომ არ შერეულიყვენ, სახელათ ირქმევდნენ და ირქმევდნენ კიდევ ზომიერ-რესპუბლიკანელებს. როცა კი რადიკალებისათვის ბედს ურგუნებია საფრანგეთის მართვა-გამგეობა, მათ ყოველთვის უარ-უყვიათ თვისი პროგრამის ძირითადი მოთხოვნილებანი. დავუბრუნდეთ რესპუბლიკანურ პარტიას.

რესპუბლიკანურ და რეაქციონურ პარტიებს შორის კავშირი გამტკიცდა კაზიმირ პერიესა და განსაკუთრებით ფელიქს ფორის პრეზიდენტობის დროს. ფელიქს ფორს თუმცა ცალი ფეხი რესპუბლიკანურ პარტიაში ედგა, მარა სამაგიეროთ ორივე ხელი მოხვეული ჰქონდა რეაქციონურ პარტიებისთვის. შეერთების პოლიტიკა უკიდურეს ხარისხამდე მიიყვანა მელინის სამინისტრომ (1896 — 1898 წ.წ.). მელინის მეოხებით ორივე რესპუბლიკანურ-რეაქციონურ ბანაკთა შორის დამყარდა ისეთი თანხმობა და ერთსულობა, რომ ძნელი გასარჩევი იყო სად თავდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე. მილიტარიზმი გარდაიქცა კულტათ (სალოცავ რამეთ), გენერალური შტაბი წმიდათა-წმიდათ, გენერლობა-კერპებათ. უმაღლეს სამხედრო წრეში არავის ეღირსება შესვლა თუ კლერიკალიზმის დარჯაკში არ გაიარა. სამინისტრო დაუსრულებლათ თხოულობს მილიონებს ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლათ. პალატა და სენატი განუსჯელათ, ულაპარაკოთ ადასტურებენ სამინისტროს მოთხოვნილებას, რადგან კრიტიკა სამხედრო საქმეებში სამშობლოს ღალატათ გამოაცხადეს. აი სწორეთ ასეთ პირობებში დაიბადა დრეიფუსის პროცესი, რომელმაც — როგორც მკითხველმა იცის — აფორიაქა და ააღელვა არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი განათლებული კაცობრიობა. დრეიფუსის პროცესს ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის. მან შეარყია რესპუბლიკანური და რეაქციონური პარტიების მეგობრული განწყობილება.

დრეიფუსმა ხორც-მეტევით ამოჰყო თავი გე-

*) ვიგულისხმებთ ისეთ სწავლას, რომლის პირველი და უკანასკნელი სიტყვაა: „ახ, რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა კაცი ბედნიერი იყოს ამ ქვეყნათო“. „ახ!“ და მხოლოთ „ახ!“

**) საგრძობელი ნაწილი რადიკალებისა მონაწილეობას იღებდა ბულანჟისტურ მოძრაობაში, ვინემდს ეს უკანასკნელი ჯერ არ გამორკვეულიყო კარგათ. ბულანჟეც პირველათ სცენაზე გამოვიდა რადიკალურ-დემოკრატიულ „რეჩებით“. ბულანჟეს მოკავშირეობამ სამუდამოთ აბრუ გაუტეხა რადიკალებს.



ნერალურ შტაბში. ის არ ეკუთვნოდა კლერიკალურ დასს. ამასთანავე ტომით იყო ებრაელი. რალა ლაპარაკი უნდა, რომ პირველ მარჯვე შემთხვევაშივე უნდა დაღუპულიყო წმიდა ადგილიდან. შემთხვევაშიც არ დაიგვიანა. გამოჩნდა რომ „წმიდა ოჯახის“ წევრთ მაიორ ესტერჰაზის და ღენერალურ შტაბის ოფიცერ ჰანრის ავაზაკური მოქმედება ჩაუდენიათ. ამის გამომჟღავნება ჩირქს მოცხებდა უმწიკვლო დაწესებულებას, სახელს გაუტენდა მის მომხიბლავ ავტორიტეტს. საქმეს უნდა შეველებოდა როგორმე და ეს იტვირთა სამხედრო სასამართლომ. „ოფიცერი ღრეიფუსი სამუდამოთ გაძევებულ იქნას ეშმაკის კუნძულზე, როგორც სამშობლოს მოღალატეო“ დაადგინა განუსჯელათ. სასამართლომ (1894 წელს) კამათლები ვერ გამოდგა კარგათ ნასროლი. თუმცა გვიან (3 წელს შემდეგ თითქმის), მარა ბნელ საქმეს მაინც შუქი მიაღვა. „უბრალო, უდანაშაულო კაცი ჯვარს აცვესო!“ გაისმის აქეთ-იქიდან ენერგიული ხმა. პრესის ის ნაწილი, რომელსაც კარგათა აქვს შეგნებული ლიტერატურის დიდი მოვალეობა ქვეყნის წინაშე და მალა უჭირავს თავისი დროშა, იწყებს მოქმედებას.

ქვეშარიტების პირუთვნელი მომხრენი, ადამიანის პოლიტიკურ-მოქალაქეობრივ ღირსება-უფლებათა დამცველნი არა ცხრებიან: „მეტი სინათლე! მეტი სინათლეო!“ ბობოქრობენ. სცენაზე გამოდის მუშათა პარტია. რეაქციონურ ბანაკში დასცეს საყვირი: „განსაცდელს პირი დაუღია ჩვენ ჩასაყლაპათო!“ ღენერლები, მინისტრები და სხვა უმაღლეს ხარისხოვანი გვამნი არავითარ საშუალების წინ არ იხევენ: ყალბი მოწმობა, ყალბი დოკუმენტები, დაქრთამვა, მოყიდვა და სხ. და სხ., რომლისთვისაც თვითონ სხვას სახრჩობელაზე გავზავნიდენ. არაფერი მათი ნამოქმედარი არ იმალება. თავისუფალ პრესას, თავისუფალ სიტყვას ყველაფერი სინათლეში გამოაქვს და რეაქციას სამარცხინო ბოძზე აკრავს. გაბრაზებული რეაქცია ჰკივის: ან მე და ან ქვა-ქვაზედაც ნუ იქნება საფრანგეთში, ან მე და ან უნდა დაინგრეს რესპუბლიკაო. ახლა მთავრობამ და რესპუბლიკანურმა პარტიამ დაინახა, რომ რეაქცია ერთობ შორს წასულიყო. იგი დარწმუნდა, რომ მას ან უნდა ხელი გამოეღო რეაქციონურ პარტიების წინააღმდეგ, ან ბურთი და მოედანი მათთვის დაეთმო, და უარი ეთქვა თავის „მეზე“. ის ირჩევს პირველს—მოქმედობს რეაქციის წინააღმდეგ, თუმცა მეტათ გაუბედავათ და თითქმის შეშინებული. მარა უკან დახვევა შეუძლებელი იყო. პროცესი მიდიოდა მისთვის თითქმის სტიქიურათ. ან „საქმე“ გადაეცა საკასაციო სასა-

მართლოს გადასაშინჯათ. მალე გაისმა რეაქციისათვის თავ-ზარ დამცემი ხმა: საკასაციო სასამართლო ღრეიფუსს უდანაშაულოთ ჰხედავს, სამხედრო სასამართლოს განაჩენს უკანონოთ ცნობსო. ფელიქს ფორისაგან დაყენებული სამინისტრო უკანასკნელ ღონეს ხმარობს. დიუბუი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, და მელინის საქმის გამგრძობი მიმართავს დაუჯერებელ საშუალებას. ის წინააღმდეგ ყოველივე კანონისა და უფლებებისა თხოულობს საკასაციო სასამართლოს ჩამოერთვას ნორმალური ფუნქცია, მოკალეობა განაჩენის კასაციის (დარღვევის). მომაკვდავის უკანასკნელი იმედი გაცრუვდა. 3 ივნისს 1899 წ. შეერთებულმა პალატამ დაადგინა: სამხედრო სასამართლოს განაჩენი უკანონოა; საქმე ხელახლა უნდა გადისინჯოსო. ეს იყო რეაქციონურ პარტიების სანახევროთ დამარცხება. რეაქციამ დაინახა, რომ საქმე ხელიდან მისდიოდა, ამიტომ მიმართა ანარხისტულ საშუალებას. საკასაციო სასამართლო დადგენილების მეორე დღეს შეეცადა, თუმცა ამაოთ. პირდაპირ პრეზიდენტის, ლუბეს, მოკვლას.

მუშა-ხალხი აღელოდა რეაქციონერთა ავაზაკური მოქმედებით და 11 ივნისს მოახდინა დიდი მანიფესტაცია, რომელზედაც დაესწრო რამდენიმე ათი ათასი მუშა. მანიფესტანტები თხოულობდენ მთავრობას სასტიკი ზომები მიეღო რეაქციის წინააღმდეგ. რესპუბლიკანური პარტია ნებსით თუ უნებლიეთ წელში გაიშალა. საჭირო იყო გარეაქციონებულ სამინისტროს დათხოვნა და ქვეშარიტ რესპუბლიკანურ კაბინეტის შედგენა. 12 ივნისს დაეცა დიუბუი. ვინ შეადგენს ახალ სამინისტროს? ლუბე—გულწრფელი რესპუბლიკანელი—ხან ერთ რესპუბლიკანელს მიმართავს, ხან მეორეს, შეადგინეთ კაბინეტო. რესპუბლიკანელნი იმალებიან; საპატიო ხარისხს, რომელსაც სხვა დროს გაფაციცებით დაფრინდებოდენ, ახლა არავინ ნდომობს.—ბატანო! არ გვინდა არც პატივი, არც დიდება, ოღონდ, ღვთის გულისთვის, რეაქციას ნუ წაგვკიდებო, ბოლოს გამოჩნდა ვალდეკ-რუსსო, რომელმაც დიდ ყოყმანსა და უარს შემდეგ იკისრა კაბინეტის შედგენა და გადადგა თანამედროვე ისტორიაში უმაგალითო ნაბიჯი: სამინისტროში მოიწვია (კომერციის მინისტრი) მუშათა პარტიის წარმომადგენელი, სოციალისტი მილერანი. ამით მთავრობამ აღიარა საქვეყნოთ, რომ მუშათა პარტია ძალაა, რომლის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლა ყოველად მოუხერხებელია, რომლის ლეგალური (კანონიერი) და ფაქტიური არსებობა ძალა-უნებურათ უნდა მიიღოს და რომ მუშათა პარტიის დაუხმარებელი შეუძლებელია თვით რესპუბლიკის დაცვა.

ვალდეკ-რუსსოს კაბინეტის შედგენით გამოეწყო საქმე, გამოირკვა რესპუბლიკანური მთავრობის მდგომარეობა. რესპუბლიკამ აიღო რეაქციონური პარტიებისაგან ნასროლი ხელ-თათმანი... ზოგნი ამბობენ დუელი უკვე გათავდა, გამარჯვებულია რესპუბლიკაო. ჩვენი აზრით რეაქციამ მხოლოდ ჩაიჩოქა. დუელი ჯერ ისევ წარმოებს და იწარმოებს კიდევ კარგა ხანს. რითი გათავდება ბრძოლა, ამას გვეტყვის ხვალინდელი დღე, თუმცა აქედანვე შეგვიძლია გავჭკრიტოთ ეს დღე.

ლ. დ.

(შემდეგი იქნება)

მსი წლის წინათ

(ძველი მამასახლისის ნამბობი)

გიორგი წერეთლისა.

(დასასრული)*

ნაჩალიკმა ღრუბენატარი რაჭის საზღვრამდის გააცილა, მე კი მეწველი ძროხით ვესტუმრე ჩემ ქალბატონს. მის შეილებს თითქოს აღდგომა გათენებოდესთ, პატარა ხბო რომ დაინახეს; ზოგი თავში ავლებდა ხელს, ზოგი კუდში, ზოგმა შეჯდომაც მოუწოდოდა.

მე განსაკუთრებული პატივ-ნაცემი შევიქენი. მეორე დღეს ნაჩალიკი მობძანდა, ისე გულ-მხიარულათ მომექცა, თითქოს თავის დღეშია არ გამწყრომოდეს. მესამე დღეს შემხმო კანცელარიაში და მიბძანა: შენ, როგორც მამასახლისმა, ამიერიდან სახელმწიფო მიწების დაცვა უნდა იკისროვო. ამეზუდგა ქოჩორი. რა ნაირათ დავიცავდი სახელმწიფო მიწებს, რუსულის ინჩი არ ვიცოდი და კანონის არა გამეგებოდა-რა. ჩემი სოფლის ხალხი ახლაც არ მყავდა მადრიელი და იმას როცა გაიგებდა, რომ მე სახელმწიფო მიწებზე დავა უნდა გავუმართო, ერთი რომ სახლ-კარიანა გადამწვავდენ და მეორე დანოსებისაგან საშველი არ მექნებოდა.

მუხლი მოვუყარე, ნაჩალიკს დავედრიჯე და მოწიწებით ვუთხარი: ეგ ჩემი საქმე არ არის და ვერც მოვიცილი მაგისტანა მძიმე საქმისთვის-მეთქი.

— შენ რასაც გიბძანებენ, ის აასრულეო.

— თუ შეიძლებოდეს, შენი მუხლის ჭირიმე, გამათავისუფლეთ სამსახურიდან, მარტო-ხელი კაცი გახლავარ-მეთქი.

ამ სიტყვებზე ავარდა, დავარდა ნაჩალიკი, პირიდან სულ დორბლები ჰყარა. ბოლოს მაინც ბძანება მომაჩეჩა ხელში, სახელმწიფო მიწები დაიცეო. რა უნდა მექნა? გამოვედი კანცელარიიდან ყოველად შეწუხებული.

თუ ამ მანდობილობისაგან თავი არ გავითავ-

ვისუფლე, ციმიბირს აქეთ ადგილი არ მექნება-მეთქი; წავედი, მოგძებნე ჩემი ნაცნობი სახელმწიფო ქონების სეკლეტარი, შევაბრალე თავი და შევეხვეწე, ამ მონდობილობისაგან რამე ნაირათ გავეთავისუფლებინე. სეკლეტარმა უშვერი სიტყვებით მოიხსენა ნაჩალიკი: კანონების რა ეცოდინება? აბა, რა მამასახლისის საქმეა სახელმწიფო მიწების დაცვაო. ააშენა ღმერთმა, მისმა დაწერილმა არქამ ბევრ ხიფათს გადამარჩინა. სეკლეტარს ორი წითლიანი ჩავუდევნი ხელში არძის დაწერისათვის; მეორე ქალაღიცი იმასვე დავაწერინე და ლუბარსკი პრავლენიაში შევიტანე, მარტო-ხელობის გამო მამასახლისობისაგან განთავისუფლება ვითხოვე; მაგრამ არა მეშველა-რა, ამისგან კი ვერ ვიხსენი თავი. წამოვედი შინ გულ-დაწყვეტილი.

ამდენი უბედურების გამოვლილს გზაზე მომაგონდა ჩემი გულის ამფეთქი პატარძალი.

გადავწყვიტე, თუ ის ლამაზი გოგო არ ჩავიგდე ხელში ღმერთმა ნულა მაცოცხლოს-მეთქი. ამეძრა სიამოვნების გულის-თქმები და ქვე-ქვეით გამოვსწიე ჩემ კანცელარიისკენ. იქ ახალი ამბავი დამიხვდა, კიდევ უკეთესი, ჩემი ვნების საქაზრაკო. მოვიდა იმ დედაკაცის ქმარი და შემომხვეწა: ბატონო მამასახლისო, იქნება ჩემ ცოლს დარიგება მისცე, მეტათ ანჩხლობს, არა მეშველა-რა, ვერ დავამშვიდევო.

— ძალიან კარგი, ამალამ ვახშმათ შენსა ვარ ჩემი პოპოშნიკებიანა-მეთქი. იფიქრე, ახალ-გაზდა კაცი ვიყავი, ჯერ კიდევ სისხლი მიდუღდა. წინდა-წინ ნეტარებას რომ ვიდგენდი, ამან გავლილი უპატიურება სულ დამავიწყა და მეტი ზმორებისაგან მკლავებს ზელა დავუწყე. პოპოშნიკებს ვუთხარი: ერთი ღამით მაინც უნდა დავამწყვდიოთ ის დედაკაცი ამ კანცელარიის პატარა ოთახში; მაგრამ ცოდვია, ახალ-გაზდა ქალია და რომ არ შეწუხდეს, ლოგინი მოვუმზადოთ, რბილათ დაწვეს-მეთქი.

არ ვიცი, შემამჩნიეს ჩემი საიდუმლო განზრახვა, თუ ისე ტყუილათ გაიღიმეს, მაშინვე დამეთანხმენ და სოფელში კაცი აფრინეს ქვეშაგების მოსატანათ. მე თვითონ ჩემი ხელით გავმართე ლოგინი, ზედ ქვეშაგები დავაგე, ოთახის კარები დავკეტე, გასაღები, რომელიც ჩემი უფრო ერთგული პოპოშნიკი იყო, იმას ჩავაბარე და წამოვედით ერთათ გლეხისას.

იქ პატარძლისაგან ქვა-ნაკრავ დედამთილს ჩვენთვის შევნიერი ვახშამი მოემზადებინა: შემწვარი გოჭი, გატენილი ბატკანი, რგვლათ მოხარული დედალი, ხაჭაპურები, კეცის მქადები და იაგუნდივით წითელი კურსეველი ღვინო. ჩავედი თუ არა გლეხის ეზოში, მისი სახლობა პატივის-

*) იხ. „კვალი“ № 8.

ცემით მომეგება. იმათ შორის იყო პუტკუნა პატარძალიც.

მე ის გავიხმე განზე და სხვების შესანიშნავათ სახე მოვიტყუხნე, მაგრამ მის გავსილ გულ-მკერდს ახლოს რომ დაეხედე, თვალები ამიპრიალდა...

და შეკრთომით დავუწყე ლაპარაკი: შენმა ქმარმა იჩივლა ჩემთან შენზე. მე, როგორც მამასახლისმა, კანონი უნდა მოგხადო. შენ ნურასი ფიქრი ნუ გექნება. ამაღამ კანცელარიის ოთახში დაგამწყვდევ. იქ თბილი ღ რბილი ლოგინია შენთვის გაწყობილი. შედი, ჩემო დაზეუტკებსო, და ტკბილათ დაიძინე. მეორე დღეს გამოხვალ და ის იქნება. მე შენ ისე მებრალეები, როგორც საკუთარი და, საკუთარ დაზედაც უფრო ბევრათ... უფრო!.. ისე ავღელდი ამ სიტყვებზე რომ ხმა სრულიად დამეკარგა და ჩურჩულათ გადამექცა ჩემი საუბარი.

პატარძალი გარეულ შევლსავით უკან-უკან იწევდა. ეტყობოდა არაფრათ ექაშნიკა ჩემი ჩურჩული.

მე უცებ გამოვტრიალდი ქმრისა და დედამთილისკენ და წყრომით ვთქვი: ამ თქვენ დედა-კაცს ვერა შევასმინე-რა, ამაღამ ნაობახში უნდა იქნეს და მაშინ დატკვიანდება.

— კი შენი ჭირიმე, ჩემო ხელმწიფე—მომატანა დედამთილმა. ქმარმა არა თქვა-რა.

სიცოცხლე გაქვს—ჩვენ გლენისას დრო გავატარეთ! პაპოშნიკებმა კარგათ მოგვიღობინეს. ვახშმის ბოლოს ხმა-მალლა შემოვძახე: აბა, პაპოშნიკებო, ადექით, წაიყვანეთ პატარძალი და კანცელარიის ოთახში დაამწყვდიეთ-მეთქი.

ისინი რომ გავისტუმრე, მე ხელმეორეთ ჩავუჯექი და მოვუღობინე პატარძლის ქმარს. მინდოდა ძალიან დამეთრო, რომ გამოთხოვებზე გარეთ არ გამომყოლოდა. შუა-ღამემდის სულ ვარხალალო ვიძახეთ. როცა შევატყვე, რომ პატარძლის ქმარს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, ავდექი, გამოვემშვიდობე, პატივისცემის ნიშნათ, მისი ბებერი დედაც გავკოცნე და გავეშურე კანცელარიისაკენ.

ბოლოს, რათიც იქნა, მივატანე. ცოტა შევისვენე ღ მერე ფეხ-აკრებით მივცოცდი ოთახის კარებთან; შემთხვევამ გამაკვირვა. პაპოშნიკები ოთახის წინ ზვინავდენ პირ-დაღებულნი. ოთახის კარები დაფულილი იყო. შევედი ნელა შიგ, მივჩოჩდი ლოგინთან, მოვუსვი ხელი, მარტო საბანი შემრჩა. გამისკდა გული; მაგრამ ჯერ მაინც ჩემ თავს ვერ დავუჯერე. იქნება სადმე კუთხეში იყოს მიმალული-მეთქი, დავიწყე ბნელ კუთხეებში ფოთიალი, წამოგკარი ფეხი სკამს, წინ გადავეშვი და როგორც შემეძლო, ისე დავატაკე თავი კედელს; მაგრამ ძეზნას მაინც არ მოვეშვი, ისევ წამოვდექი, დავიწყე


თავ-გახეთქილმა ხელ-ახლა ფათური; რას ნახავდა რაც არ არის?... პატარძალი გაქცეულა. როგორც თოფით დაკოდილი დათვი, ისე დავიღრიალე: რა უყავით ტუსალი რომ ჩაგაბარეთ-მეთქი? პაპოშნიკები წამოვარდენ გაცოფებული. დავერიე მუშტით და სამივეს გვერდები დავამტერიე.—თუ ქალი ამ წუთას არ მოგიძებნიათ, ყველას ციმბირში გაგზავნით-მეთქი. ვინღას აგონდება ან გულის-თქმა, ან დროს გატარება. ვინ იცის, ერთი ფშლე დედაკაცი იყო, ქმრისაგან და დედამთილისაგან გამოჯავრებული, იქნება ან თავი დაიხრჩო, ან ღრეში გადავარდა სადმე.

პასუხისგებლობამ ამაკანკალა.

მეორე დღეს ჯერ კიდევ მხეს წვერი არ ეკრა, მისი ქმარი მომადგა კარზე: ჩემი ცოლი დამანებეთო. რომ შეიტყო, იქ აღარ იყო, აყვირდა ეს კაცი, თავ-ქუდ-მოგლეჯილი დაეშვა ქ...სკენ და თან მემუქრებოდა: მამასახლისმა ცოლი დამიკარგა, ღრუბენატარის წინ უნდა მოვიკლა ჩემი თავიო. ვაის გავეყარე, უის შევეყარეო. ნეტამც ღმერთი გამწყრომოდა და ეშმაკების საფრთხეში ფეხი არ ჩამედგა, თუნდ ჩემი ყოფა-ცხოვრება ერთ დღეში დაღუპულიყო, თუნდ თავის დღეში ქალის ნასახიც არ მენახა. რალა ბევრი გავაგრძელო, ქალი საყოლში გაქცეულიყო. იმ ჟამათ ხიფათისაგან ვიხსენი თავი; მაგრამ რათ გინდა? სანამ მამასახლისათ ვიყავი, ჩემს უცოდვესი ქვა არ ყოფილა.

იმ სამი წლის განმავლობაში ერთი მთავრობის კაციც არ მოსულა კანცელარიაზე, რომ ჩემი კმაყოფილი წასულიყოს. ზოგს ოჩრის ცხენი არ მოეწონებოდა და ჯავრს ჩემზე იყრიდა, ზოგს პოვესკას დროზე არ გაუგზავნიდენ და ამაშიაც მე ვიყავი დამნაშავე, ზოგს პრაგონის გადახდა ეზარებოდა და თავის გულის ჯავრს მე დამაცხრობდა კისერზე. რაც სოფელში რამე დაიკარგებოდა, ან თუ მეზობელი მეზობელს თავს გადააფრეწდა, აქაც მე ვიყავი დანაშაული. კაცობა წამიხდა, სიამაყე დამეკარგა, სინდის გაფუჭებული შევიქენი. ერთი კარგი ცხენი მყავდა, ისიც ოჩრის თრევაში მომიკლეს.

მადლობა ღმერთს, ბოლოს ჩემთვისაც გათენდა აღდგომა. დადგა ახალი არჩევანი სოფლის მოხელეებისა. ჩემი მამასახლისობის ძეწკვი გადავაცვი ახალ მამასახლისს კისერზე და დავლოცე. ღმერთმა ამისთანა ჯილდო შენ დღეში ნუ მოგიშალოს-მეთქი, დავაბერტყე ჩემი დაგლეჯილი ქუდი სოფლის კანცელარიას და წამოვედი ამ სიტყვებით: ღმერთმა უარესისაგან დამიცვას.



წერილი რედაქციის მიმართ

ცერის საკვირაო სკოლის განყოფილების მასწავლებლები და მოსწავლენი გულთაღ მადლობას უძღვნიან იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს, რომელმაც ხსენებულ განყოფილებას შემოსწია თავის მიერ შედგენილი შემდეგი წიგნები: „დედაენა“, - ათი ცალი. „Русское Слово“ ნაწ. I-5. „Руководство для учит. и учительницъ къ преподаванію по Рус. слову“ - 2. „Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку“ - 2. „Нормальное письмо“ - 2. „Къ вопросу о поднятіи уровня образованія среди грузинскаго дворянства“ - 2. „სხივი წარსულისა“ - 2. „საარაკო თავდასახვლი ტახტის შემკვიდრისა“ - 2 და ერთი მანათიკ ფული.

ვერის სკოლის მასწავლებლები.

რედაქტორ-გამომც. ან. თ. წერეთლისა.

თფილისის ქალაქის ვაჭრობის
საყოველთაოთ აცხადებს, რომ 9 თე-

ბერვადს 1900 წლის დადგენილების თანხმით, ქალაქის საავტომოტოო და მის განყოფილებებში ავადმოფთოს მიღების საქმის გაწესრიგებისთვის, შემოღებულია შემდეგი წესები.

1) ქალაქის საავტომოტოო და მის განყოფილებებში (კუკიას, ხარტუხის და ავლაბარისა) უფასოთ მიიღებიან და წამალაც უფასოთ შეეცემათ მხოლოდ დარბებს, რომლებმაც საავტომოტოო ჩაწერისთანავე უნდა წარმოადგინონ სიღარბის მწმობები.

2) ამგვარ მწმობების მიცემა შეუძლიათ: ხოციცის, სასუღიერა ზირთ ყველას სარწმუნოებისა, ყველა ექიმებს, როგორც ქალაქის, ისე სახელმწიფო სამსახურში შეიქმნა, აგრეთვე კერძო ექიმთაც, სასახიტარო ზედამხედველთ, საქველ-მოქმედო საზოგადოებათ, სავაჭრო და სახელწირო წოდებათა მმართველობათ, მოქალაქეთა და ხელახანთა მამასახლისებს, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა უფროსებს და აგრეთვე სასწავლებელთა გამგეთ.

3) სიღარბის მწმობა არ მოეთხრება მხოლოდ იმ ავადმოფთოთ, რომლებსაც დახმარება დაუყოვნებლივ უნდა აღმოეჩინოს.

4) ჩაწერა ავადმოფთოთ, რომელნიც საავტომოტოოს ან მის განყოფილებათ მიჭმართვენ, მონდება ყოველ დღე შუადღის 12 საათამდე. (3-1)

130 მან. გამგზავრება პარიზის მსოფლიო გამო-
ფენაზე 1900 წ. 130 მან.

გამგზავრება იქით და აქეთ მცორე კლასით, პარიზში 12 დღე დარჩენა სრული შენახვით, დათვლიერება გამოფენის, ყოველივე შესანიშნავი აღვილების და სანახავებისა სხ. და სხ. ყველა ესენი ელირება მხოლოდ დაწვრილებით ცნობებისთვის მიმართეთ ბერლინში ამ აღრესით:

Der Russisch-Deutsche Bote
Adtheilung: Reisebureau.
BERLIN, 24, GERMANIA. *)

სახლი წიგნი
საარაკო თავდასახვლი ტახტის მმ-
კვიდრისა.

სახლი სახლხა და სემსწვილო წიგნი, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნში მოთხრობილია თამარ-მეთის შვილის შვილის შემკვიდრე დავითის სატარო თავ-გადასავალი. ფასი ორი მარკა. წმინდა შემოსავალი მიემატება მცხეთის ტაძრის განსახლებულ ფულსა. ისეიღება თფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მადახიაში, ქუთაისში ბუჯანეი-შვილის, ხეთერლის და წერეთლის მადახიებში, სენაკში, ოზურგეთსა და ბათუმში თავართქილადის მადახიებში. 2-2

ФРАНЦЪ ДОМКЕ, ЛЕЙПЦИГЪ-ЛИНДЕНАУ.
Комиссионный и банкирский домъ
Большой вспомогательный доходъ
Агенты, имѣющие большше знакомство, могутъ легко имѣть большой вспомогательный доходъ, безъ всякихъ наличныхъ издержекъ и риска. фф. съ реферсиціями. Franz Domke, Leipzig-Lindenau (Германія).

*) ეს განცხადება ეკუთვნის ბერლინის „რუს-გერმანელ მოამბის“ რედაქციას, რომელიც კისრულობს ასე იაფათ პარიზის გამოფენაზე წაყვანას. ვისაც სურს ამით ისარგებლოს, «კვალის» რედაქციას მომართოს და ის სიამოვნებით გაუგებს დაწვრილებითი ამბავს.